

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

19 თებერვალი 2018 წ.

თბილისი

№ 1067/03

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის №731/03” ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება 2018 წლის 22 ოქტომბრის №348 საფუძველზე „რექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის №731/03“ ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ბათილად იქნას ცნობილი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის №731/03” ბრძანების პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი „3. ხალიდ აიმაჩ ჰასან აბდულლაჰ- იორდანიის ჰუმანიტური სამეფოს მოქალაქე;
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდამეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ.კილასონიას, თსსუ-ს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მ/შ დ.თოფურიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი